



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 მარტი, 2017 წელი

დრო: 13:00 საათი – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ბეთსი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ხუბუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
2. მაკა ცერცვაძე - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
4. ელენე ყუფარაძე - მეწარმე ქალთა ფონდი
5. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
6. ნაირა ბეჰიევი - „კავკასიური მოზაიკა“
7. რაზიათ ქუმარიტოვი - „კავკასიური მოზაიკა“
8. ირაკლი მჭავანაძე - სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
9. თამარ გოგობია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
10. ლიკა მარღანია - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
11. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
12. ლაშა მკურნალიძე - სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
13. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
14. ელენე რუსეცკაია - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
15. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
16. უჩა ვახანია - კოალიცია შინმოვლა საქართველო
17. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
18. ნანა გელაშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
19. ქრისტინა კილანავა - ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისთვის

სკაიპით ერთვებოდნენ:

20. ოლგა კიკავა - ასოციაცია „მერკური“
21. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
22. ალუ გამახარია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“

განსახილველი საკითხები:

1. 2016 წლის საქმიანობის შეფასება;
2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგის მიხედვით IV სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრა;
3. IV სამუშაო ჯგუფის ეფექტურად მუშაობის საჭიროებების განსაზღვრა;
4. გენდერის ქვეჯგუფის შექმნის ინიციატივის განხილვა;
5. სხვადასხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის ახლადარჩეულმა კოორდინატორმა, მიესალმა ჯგუფის წევრებს, წარუდგინა საკუთარი ორგანიზაცია და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

კოორდინატორის თხოვნით ჯგუფის წევრებმა წარადგინეს მოკლე პრეზენტაციები საკუთარი ორგანიზაციების შესახებ.

კოორდინატორმა ასევე გააჟღერა სამდივნოს თხოვნა და მოუწოდა ჯგუფის წევრებს სამდივნოს მიაწოდონ ორგანიზაციის განახლებული სააპლიკაციო ფორმები, რომ გაუმჯობესდეს ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია.

შემდეგ საკითხად, ჯგუფის ყოფილმა კოორდინატორმა, ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა მოკლედ შეაჯამა გასული წლის საქმიანობა და ისაუბრა ჯგუფში არსებულ პრობლემებზე, მათ შორის, ქვეჯგუფების არჩევისა და მათი საქმიანობის შესახებ.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა იმსჯელა სხვადასხვა გამოწვევაზე, რომელიც აფერხებს ჯგუფის მუშაობის ეფექტურობას. „ასოციაცია სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“-ს წარმომადგენელმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მოლოდინები, თუ რა სურთ მათ პლატფორმისგან და შესაბამისად იმუშაოს ჯგუფმა. თავად აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია პლატფორმის თანადგომა ადვოკატირების პროცესში.

„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წარმომადგენელმა, ყურადღება გაამახვილა ჯგუფის შეხვედრების მიზნობრიობაზე და გამოთქვა ინიციატივა, რომ დეტალურად გაიწეროს ჯგუფის სამოქმედო გეგმა, სადაც ასახული იქნება ჯგუფის წევრების ინტერესები და შესაბამისი დღის წესრიგით იხელმძღვანელოს ჯგუფმა შეხვედრების გამართვისას.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს წარმომადგენელმა ისაუბრა წევრების მხრიდან მოტივაციის ამაღლების საჭიროებაზე, ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია პლატფორმის ქმედებები იყოს შედეგზე ორიენტირებული.

პედაგოგთა კავშირის „განათლება და სამყარო“-ს წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ქვეჯგუფების საქმიანობაზე და გამოთქვა ინიციატივა, რომ გააქტიურდნენ უკვე არსებული ქვეჯგუფები და მათი საჭიროებები აისახოს ჯგუფის სამოქმედო გეგმაში. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მონაწილეთა შერჩევის წესის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, კოორდინატორმა დამატებით განმარტა ფორუმის მონაწილეთა შერჩევის პრინციპი:

- ✚ მას შემდეგ რაც რეგისტრაცია დასრულდება, ბრიუსელის სამდივნო ეროვნულ კოორდინატორს უგზავნის დარეგისტრირებული ორგანიზაციების სიას. ეროვნული კოორდინატორი თავის მხრივ, აღნიშნულ სიას ავრცელებს მთლიან პლატფორმაში, რათა პლატფორმამ კენჭი უყაროს მათთვის სასურველ კანდიდატებს. შერჩეული ორგანიზაციების სიას ეროვნული კოორდინატორი წარადგენს ფორუმის მმართველ კომიტეტზე;
- ✚ ფორმულზე არჩეული სამუშაო ჯგუფების კოორდინატორები წარადგენენ მათ მიერ შედგენილ სიებს;
- ✚ ევროკავშირის წარმომადგენლობები აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში, მმართველ კომიტეტს წარუდგენენ მათ მიერ დაკომპლექტებულ სიებს.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ ზემოთ აღნიშნულ სიებზე დაყრდნობით.

ჯგუფში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, ორგანიზაციის „კოალიცია შინმოვლა საქართველო“-ს წარმომადგენელმა ასევე ყურადღება გაამახვილა წევრი ორგანიზაციების მწირ მოტივაციაზე, ასევე სამუშაო ჯგუფების მოწყობაზე და აღნიშნა, რომ არის საკითხები, რომლებიც პირდაპირ არცერთ სამუშაო ჯგუფს არ ეხება, მაგალითად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები. მან ასევე გამოთქვა ინიციატივა მომზადდეს ყოველთვიური ელექტრონული აღმანახი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საინფორმაციო ბიულეტენის სახე.

ჯგუფის კოორდინატორმა გაიზიარა აღნიშნული წინადადება და გამოხატა ინტერესი, რომ ჯგუფის წევრებმა წარადგინონ საკუთარი ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ფოტო და მცირე ტექსტი, შეიკრიბოს მოცემული ინფორმაცია და ელექტრონული ბიულეტენის სახით გავრცელდეს, როგორც პლატფორმის შიგნით, ასევე მის გარეთაც, მათ შორის, შავი ზღვის ფორუმზე პლატფორმის სახელით გაკეთდეს პრეზენტაცია, ასევე განთავსდეს პლატფორმის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში და სხვა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ გზით გაიზრდება, როგორც პლატფორმის ცნობადობა, ასევე თავად წევრებს ექნებათ მეტი ინფორმაცია კოალიციის წევრი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და გაითვალისწინებენ მიღებულ ინფორმაციას ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შემუშავდეს ჯგუფის სამოქმედო გეგმა. ჯგუფის კოორდინატორმა წევრებს სთხოვა, ორგანიზაციებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ასოცირების დღის წესრიგის გათვალისწინებით, არაუგვიანეს პარასკევს, 7 აპრილისა, წარუდგინონ მას მინიმუმ 3-4 კონკრეტული წინადადება, რომელთა კონსოლიდირებასაც ჯგუფის კოორდინატორი მოახდენს და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიას გაუგზავნის ჯგუფის წევრებს, რათა მოხდეს საბოლოო შეჯერება დოკუმენტის ყველასთვის მისაღებ ვერსიაზე. კოორდინატორმა კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ჯგუფის სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში იყოს ასოცირების დღის წესრიგთან.

ჯგუფში ასევე გამოითქვა მოსაზრებები, რომ გასვლითი სხდომები, ერთობლივი პროექტების განხორციელება, საერთო საქმიანობების დაგეგმვა, საინფორმაციო ბიულეტენების შედგენა/გავრცელება ხელს შეუწყობს ჯგუფის წევრების მოტივაციის ამაღლებას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.